



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გომელაური ნიკო (ნიკოლოზ) გიორგის ძე



ნ. გომელაური

გომელაური ნიკო (ნიკოლოზ) გიორგის ძე (12. VII. 1970, თბილისი, - 13. IV. 2010, იქვე), მსახიობი, პოეტი. 1992 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. იყო თავისუფალი თეატრისა და ა. გრიბოედოვის სახ. რუსული დრამ. თეატრის წამყვანი მსახიობი. თავისუფალ თეატრში მონაწილეობდა შემდეგ სპექტაკლებში: "კომედიანტები", "ძმები", "იდიოტოკრატია", "კავკასიური ცარცის წრე", "ჰამლეტი", "ჭინსების თაობა", "ტელემისტერია", "ბავშვის თვალებით", "ღმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები" და სხვ.; ა. გრიბოედოვის სახ. თეატრში: "მე, ბულატ ოკუჭავა", "ხანუმა", "ცხოვრება მშვენიერია", "იცხოვრე და გახსოვდეს", "ოსტატი და მარგარიტა", "ორი წყვილი, ანუ ვინ არის ჩარლი", "რუსული ბლუზი", "სიგმრები საქართველოზე", "მისტიფიკატორი" და სხვ. გადაღებულია კინოფილმებსა და სატელევიზიო სერიალებში. გ-ის პოეზია გამოირჩევა გამოსახვის თავისებური სტილითა და მანერით. პოეტმა მკითხველის აღიარება და სიყვარული მოიპოვა. გ-ის პოეტური კრებულები: "2-ჯერ 6 საკაიფო ლექსი" (2000), "ჩემს ქალაქში ყველაფერი მოსულა" (2003), "უაზრო ლექსი" (2004), "უბის ლექსი" (2008), "ახალი ლექსი" (2010), "...ოცნებები მცნებებივით ირღვევიან..." (2011). 2011 გამოვიდა მხატვრულდოკუმენტური ფილმი "ნიკო... აპლოდისმენტები" (რეժ. გ. ბერიძე). გ. იყო კ. მარჯანიშვილის სახ. პრემიის (2003), ბრესტისა (2004) და შავი ბლვის ქვეყნების საერთაშორისო (ტრაპიზონი, 2006) თეატრალური ფესტივალების ლაურეატი. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში